ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 23.05.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 008/23

შეკითხვა:

დაარღვევს თუ არა ადვოკატი პროფესიულ ეთიკას, თუ ის საქმის დასრულების შემდეგ, საქმესთან დაკავშირებით ტელევიზიას მისცემს ინტერვიუს და გააცნობს სოციალურ ქსელში, მის კლიენტსა და მოდავე მხარეს შორის არსებულ იმ მიმოწერას, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთან, საქმე განიხილებოდა ღია სხდომაზე და ადვოკატს კლიენტისგან აღებული აქვს ნებართვა, ხოლო მიმოწერა არ არის პირადი ცხოვრების შემცველი შინაარსის.

ანალიზი:

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-5)

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-5მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე- 3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)

ადვოკატის მთავარ ვალდებულებას კლიენტის ინტერესების დაცვა წარმოადგენს, თუმცა მას, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირს, სმაგალითოდ ევალება კანონისა და საჯარო წესრიგის დაცვა, შესაბამისად ის, რითიცი ადვოკატმა უპირატესად უნდა იხელმძღვანელოს არის კლიენტის ინტერესები და მათი თანხვედრა კანონთან.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო, სოციალურ ქსელში, მხარეთა შორის არსებულ მიმოწერას. ადვოკატს კლიენტთან შეთანხმებით, სურს ინტერვიუ მისცეს ერთ-ერთ ტელევიზიას და გააცნოს ის მიმოწერა, რომლითაც სასმართლომ

იხელმძღვანელა. მიმოწერა არ შეიცავს პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას და საქმე, სადაც სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულება გამოიკვლია, განიხილებოდა ღია სხდომაზე.

შესაბამისად ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ სასმართლომ უკვე იმსჯელა მიმოწერის გასაჯაროების კანონიერებასთან დაკავშირებით, ხოლო თავის მხრივ ადვოკატის მიერ მიმოწერის გამოყენება საჯარო სივრცეში არ დაარღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს, თუ ადვოკატი, მიმოწერას საგნობრივად განიხილავს გადაწყვეტილებასთან მიმართებით და მასზე ყურადღებას სასმართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონტექსტში გაამახვილებს და არ შეეცდება, მისი გამოყენებით მხარის დისკრედიტაციას.

დასკვნა:

ვინაიდან სასმართლომ უკვე იმსჯელა წარმოდგენილი მიმოწერის გასაჯაროების კანონიერებაზე, ამასთან მიმოწერა არ შეიცავს პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას, ადვოკატი, ტელევიზიისთვის ინტერვიუს მიცემისას, სასმართლო გადაწყვეტილების ანალიზისთვის მიმოწერის გამოყენებით, არ დაარღვევს პროფესიულ ეთიკას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.